



# Primary Healthcare System's Development Strategy



**Global Alliance  
for Health  
and Social Compact**

## საკონსულტაციო დავალება

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და, ჯანმრთელობისა და სოციალური თანამშრომლობისთვის, გლობალურ ალიანს შორის გაფორმებული საკონსულტაციო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის 2015 წლის 7 აპრილის ხელშეკრულების მიხედვით

ამოცანები	პირველადი ჯანდაცვის სისტემის განვითარების სტრატეგიისა და დანერგვის გეგმის შემუშავება.
განხორციელება/შემუშავება	გლობალური ალიანსი ჯანმრთელობისა და სოციალური თანამშრომლობისთვის.
ანგარიშის მომზადების თარიღი	2016 წლის 28 მარტი



**Global Alliance  
for Health  
and Social Compact**



დამატებითი ინფორმაციისთვის წინამდებარე ანგარიშთან და  
პროექტთან დაკავშირებით გთხოვთ დაუკავშირდეთ:

---

## გლობალურ ალიანსს ჯანმრთელობისა და სოციალური თანამშრომლობისთვის

ბილეს ქ. N 22, ტონტონი, სომერსეტი TA1 3NG  
დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის  
გაერთიანებული სამეფო

დიდი ბრიტანეთი ტელ: / +441823321177  
დიდი ბრიტანეთი ფაქსი: / +441823423400

ელ-ფოსტა: [office@gahsc.net](mailto:office@gahsc.net)

დოქტორი ტატიანა პადურარუ

# სარჩევო

Introduction.....	5
Description of the current situation and pending problems.....	5
Governance in the Primary Health Care System .....	7
Funding and mechanisms of payment for Primary Health Care.....	8
Provision of Primary Health Care .....	10
Resource Management.....	13
General and specific objectives .....	14
Necessary measures to attain the objectives and expected results.....	16
Impact assessment.....	24
Stages of implementation .....	26
Reporting and monitoring procedures .....	27
Action plan.....	29

## შესავალი

1. 2016-2023 წლებში პირველადი ჯანდაცვის სისტემის განვითარების სტრატეგია (შემდგომში სტრატეგია) საქართველოში 2014-2020 წლების ჯანდაცვის სისტემის სახელმწიფო კონცეფციის დანერგვის შემადგენელი ნაწილია, რაც მიმართულია პირველადი ჯანდაცვის სისტემის განვითარებისკენ.
2. სტრატეგიის მიზანია გააძლიეროს საოჯახო მედიცინის როლი საქართველოს ჯანდაცვის სისტემაში და შეიმუშაოს ძლიერი, შესაბამისი ეფექტური და მდგრადი პირველადი ჯანდაცვის სისტემა, რომელიც გააუმჯობესებს მკურნალობის ხარისხს საქართველოს მოქალაქეებისთვის, განსაკუთრებით კი მათთვის, ვინც ვერ იღებს სათანადო მომსახურებას და ეს ყოველივე შესაძლებელი გახდება მოსახლეობის ჯანმრთელობაზე ზრუნვით, დაავადებათა პრევენციით, ჰოსპიტალური სერვისების საჭიროების შემცირებითა და ქრონიკული მდგომარეობების მართვის გაუმჯობესებით.
3. სტრატეგია შეესაბამება 5 წლის წინ ჯანდაცვის სისტემის რესტრუქტურის შესახებ წამოწყებულ ამოცანას, ის საფუძველს იღებს პრიორიტეტული პრობლემების დადგენიდან და საზღვრავს მიდგომებისა და ჩარევის მეთოდებს, რომელიც სათანადო განხორციელების შემთხვევაში უზრუნველყოფს პირველადი ჯანდაცვის სისტემის უკეთეს ფუნქციონირებას და მოსახლეობის ჯანმრთელობის გაუმჯობესებას არასაკმარისი რესურსების ფონზე კი.
4. სტრატეგია შემუშავდა პირველადი ჯანდაცვის განვითარების საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკაზე დაყრდნობით და მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის (WHO), ევროპის კომისიის, მსოფლიო ბანკისა და ჯანდაცვის პოლიტიკის სექტორში მოღვაწე სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების ძირითადი დოკუმენტაციის მიხედვით.

## არსებული მდგომარეობისა და მოსალოდნელი პრობლემების აღწერა

5. პირველადი ჯანდაცვის სერვისების რეფორმა დაიწყო 2000 წელს. პირველადი ჯანდაცვის 2004-2006 წლების საწყის გენერალური გეგმაში მოწოდებული იყო, საჯარო მფლობელობაში არსებული და სახელმწიფოს მიერ მართული სისტემის მეშვეობით, ხარისხიანი საბაზისო სამედიცინო მომსახურების უნივერსალურ წვდომაზე ორიენტირებული რეფორმის ჩარჩო. ის ასევე მოიცავდა პირველადი ჯანდაცვის რგოლში მომუშავე სამედიცინო პრესონალის გადამზადებისა და პირველადი ჯანდაცვის ობიექტების რეაბილიტაციის გეგმებს. შემუშავებულ პოლიტიკაში ნავარაუდები იყო პირველადი ჯანდაცვის დაფინანსება სახელმწიფო ბიუჯეტიდან და მომსახურების გადასახადებით, რაც შემდგომში გადაინაცვლებდა ფიქსირებულ სულადობრივ საგადასახადო სისტემაზე.
6. 2006 წელს პირველადი ჯანდაცვის საწყისი გენერალური გეგმა გადაიხედა ჯანდაცვის სერვისების პრივატიზაციის პროგრამის წამოწყების ფარგლებში, აქედან გამომდინარე ჯანდაცვის პოლიტიკა შესაბამისობაში მოვიდა უფრო ფართო ეკონომიკურ პოლიტიკასთან, კერძო სექტორის მეტი ჩართულობის მხარდასაჭერად. ჯანდაცვის ეს რადიკალური რეფორმა განხორციელდა სამედიცინო საზოგადოებასთან, სამოქალაქო ჯგუფებთან და განვითარების დარგში არსებულ პარტნიორებთან მინიმალური კონსულტაციით.
7. 2007 წელს პირველადი ჯანდაცვის 2007–2010 წლების მეორე გენერალურ გეგმაში მოწოდებული იყო პირველადი ჯანდაცვის რეფორმის ძირითადი სახელმძღვანელო - (i) კერძო პირველადი ჯანდაცვის სისტემის შემოღებისთვის დაზღვევაზე დაყრდნობით; (ii) სამინისტროს, როგორც მარეგულირებლისა და პოლიტიკის განსაზღვრაზე პასუხისმგებელი ორგანოს, როლის გაძლიერებისთვის, რაც გაზრდიდა ჯანდაცვის სისტემის

ეფექტიანობას, ეფექტურობასა და ხარისხს; (iii) პირველადი ჯანდაცვის სისტემის ურბანული და სასოფლო მოდელების გასამიჯნად, დაახლოებით 900 ობიექტით რაიონებში და შეუზღუდავი რაოდენობით, ქალაქებში, რეგიონებში/რეგიონულ ცენტრებში (ყველა კერძო ობიექტით); (iv) პირველადი ჯანდაცვის დასაფინანსებლად სასოფლო/მაღალმთიან რაიონებში, სადაც კერძო სექტორი ნაკლები ალბათობით უზრუნველყოფს ადექვატურ დაფარვას (მომსახურებას) და (v) პირველადი ჯანდაცვის სერვისების სრული პაკეტის დასაფინანსებლად ყველაზე გაჭირვებული ფენისთვის (ყველა სიღარიბის ზღვარს მიმდმა მყოფი პირი). საბოლოოდ გენერალური გეგმა არ მიიღეს.

8. 2008-2012 წლებში პირველადი ჯანდაცვა არ იყო მიჩნეული პრიორიტეტულად ჯანდაცვის სისტემის გაძლიერებისკენ მიმართული სამი სტრატეგიული ამოცანის ჭრილში. პირველადი ჯანდაცვა დაიხვეწა და განისაზღვრა სისტემის ელემენტები, რომელიც ეფუძნება კერძო მიწოდებასა და შესყიდვას, რაც იმუშავებდა კონკურენტულ გარემოში. თუმცა, ჯანდაცვის სექტორის კონკრეტულმა მახასიათებლებმა, რითაც ის განსხვავდება საქონლის/მომსახურების მოთხოვნა-მიწოდებაზე დაფუძნებული ჩვეულებრივი ბაზრის მიდგომისგან, გამოიწვია ცვლილების საჭიროება.

9. 2013 წელს საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ეფექტური შემოღებით, პირველადმა ჯანდაცვამ, წარმოდგენილმა საოჯახო მედიცინის სახით, აჩვენა ჯანდაცვის სისტემაში თავისი კომპეტენციის სფეროს შეზღუდვის ზრდადი ტენდენცია. გაანალიზდა და გაფართოვდა საოჯახო მედიცინის კომპეტენციები და პასუხისმგებლობები და გაუმჯობესდა ეფექტიანობა სამედიცინო კონსულტაციებისა და სახლში ვიზიტების გაზრდით, აღირიცხა მეტი პაციენტი, რამაც უზრუნველყო პირველადი ჯანდაცვის უკეთესი დაფარვა.

10. დაბალი დაფინანსებისა და საჭირო რესურსების ნაკლებობის მიუხედავად საქართველომ წარმატებით გადადგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები საოჯახო



მედიცინისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნით და პირველადი ჯანდაცვის სექტორში განხორციელებული რეფორმებით. საოჯახო მედიცინა კანონის მიხედვით გახდა სპეციალობა, პირველადი ჯანდაცვა გამოცხადდა პიორიტეტად და დაიკავა „ავანპოსტის“ პოზიცია ჯანდაცვის სისტემაში.

11. ზემოთ აღწერილმა სარეფორმო ინიციატივებმა გააუმჯობესა სტრუქტურის გარკვეული ასპექტები და პირველადი ჯანდაცვის სერვისების მიწოდება. თუმცა, სოციო-ეკონომიკურმა ასპექტებმა, ეპიდემიოლოგიურმა და დემოგრაფიულმა ტენდენციებმა, გეორგრაფიულმა სირთულეებმა და დანერგვასთან დაკავშირებულმა სისტემურმა ნაკლოვანებებმა შეაფერხა სასურველი შედეგების მიღება. პირველადი ჯანდაცვის მახასიათებლებმა და რეგიონებს შორის შედარებებმა აჩვენა არასაკმარისი მიღწევები და შემდგომი გაუმჯობესებების საჭიროება.

12. პირველადი ჯანდაცვა, როგორც ჯანდაცვის სისტემის ყველაზე ხარჯთ-ეფექტური ფორმა, რომელსაც აქვს ყველაზე დიდი ზეგავლენა მოსახლეობის ჯანმრთელობაზე და მომსახურებაზე წვდომასა და უწყვეტობაზე, კვლავ აწყდება რიგ სერიოზულ პრობლემებს.

### მმართველობა პირველადი ჯანდაცვის სისტემაში

13. ეფექტური მმართველობა არის მნიშვნელოვანი წინაპირობა პირველადი ჯანდაცვის ხარისხიანი სერვისების მისაწოდებლად და პირველადი ჯანდაცვის დარგში მომუშავე კვალიფიციური კადრებისა და თანამედროვე მოწყობილობების უზრუნველსაყოფად. პირველად ჯანდაცვაში მმართველობის შესაფერისი მოდელების შემუშავება საშუალებას გვაძლევს მოვახდინოთ საჭირო ფინანსური რესურსების მობილიზება, გამოვიყენოთ ინსტრუმენტები პრიორიტეტების დასადგენად და ასევე რაციონალურად და ეფექტურად გამოვიყენოთ არსებული რესურსი სასურველი შედეგების მისაღებად. მრავალი დაკორექტირებული პოლიტიკა და გეგმები ბოლომდე ვერ იწერება არასაკმარისი სამართლებრივი ბაზის გამო. ამ კუთხით აუცილებელია შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის

სამინისტროს (MoLHSA) როლის გაძლიერებ პირველადი ჯანდაცვის მართვაში, აქცენტით მომსახურების მოცულობაზე, ანგარიშვალდებულებაზე, წვდომაზე, ეფექტიანობასა და ხარისხზე.

14. სექტორში აღინიშნება პირველადი ჯანდაცვის სფეროს მენეჯერთა დეფიციტი, როგორც მაკრო, ასევე მიკრო დონეზე; აღნიშნული დეფიციტის აღმოფხვრის შემთხვევაში უზრუნველყოფილი იქნებოდა პირველადი ჯანდაცვის სფეროს განვითარება, ადგილზე ექნებოდა დადებით ძვრებს და მოიმატებდა, როგორც სერვისების ხარისხი და ეფექტურობა, ასევე პაციენტთა კმაყოფილება. 2000-იან წლებში დაწყებულმა რეფორმებმა ჯანდაცვის მომსახურების პროვაიდერებს მისცა ავტონომია, თუმცა თანამედროვე მმართველობითი უნარები, როგორცაა პროექტის დაგეგმარება და მართვა, პროგნოზირება, ფინანსური მართვა, მოლაპარაკებების წარმოება, კონტრაქტირება და რესურსების მართვა კვლავ სუსტია. იმისთვის, რომ პირველადი ჯანდაცვის სისტემა გახდეს ფუნქციური აუცილებელია არსებული მენეჯერების გადამზადება და ტრენინგების წინასწარ დაგეგმილი კურსების უზრუნველყოფა ახალი მენეჯერულული პოზიციებისთვის კადრების მოსამზადებლად.

15. საკონსულტაციო დავალებების ფარგლებში გამოკითხულ პირთა უმრავლესობამ აღნიშნა პირველადი ჯანდაცვის მმართველობისა და დაფინანსების მაშტაბების სისუსტეები, როგორც ყველაზე მნიშვნელოვანი ბარიერი პირველადი ჯანდაცვის განვითარებისთვის, ვინაიდან არ ხდება პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებების წახალისება თანამედროვე პრაქტიკის დასანერგად სერვისების ხარისხისა და მოცულობის გაუმჯობესების კუთხით. აუცილებელია შემდგომ დაგვარად მოკლე ვადაში მოხდეს ამ სექტორის გაძლიერება და მაქსიმალური გამოყენება ჯანდაცვის სისტემისთვის გათვალისწინებული ფინანსური რესურსების ეფექტური განაწილებისთვის და ჯანდაცვის სერვისების ხარისხის გაუმჯობესებისთვის, პირველადი ჯანდაცვის სერვისების მომწოდებელთა მოტივირების მექანიზმების დანერგვით, რაც მოიცავს ფულად წახალისებას სამუშაო

ეფექტურობაზე დაყრდნობით.

## დაფინანსება და გადახდის მექანიზმები პირველადი ჯანდაცვის სექტორში

16. დაფინანსება არის ერთ-ერთი მთავარი საყრდენი პირველადი ჯანდაცვის სისტემის მდგრადი ფუნქციონირებისთვის, ის ქმნის ხელსაყრელ პირობებს მოსახლეობის საჭიროებების დასაკმაყოფილებლად მაღალი ხარისხისა და მომსახურებების ადექვატური მოცულობით მიწოდების თვალსაზრისით. მიზნობრივი დაფინანსებისა და გადახდის მექანიზმების სათანადო უზრუნველყოფა, მ.შ. მათი კომბინირება პირველადი ჯანდაცვის სერვისების ტიპებთან და პაკეტებთან, საშუალებას იძლევა გაუმჯობესდეს პირველადი ჯანდაცვის სერვისებზე თანაბარი ხელმისაწვდომობა, ზრუნველყოფს რესურსების რაციონალურ და ეფექტურ გამოყენებას და ხელს უწყობს პირველადი ჯანდაცვის სერვისების მომწოდებელთა მოტივირებას.
17. იმის მიუხედავად, რომ საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის დანერგვით ჯანდაცვის სისტემის ფინანსური სტაბილურობა გაიზარდა და ჯანდაცვის სერვისებზე წვდომა გაუმჯობესდა, რიგი პრობლემებისა ჯერ კიდევ გადასაჭრელი რჩება.
18. პირველად ჯანდაცვას არ აქვს საკმარისი დაფინანსება სახსრების ჰოსპიტალურ სერვისებზე გადაღინების გამო. ამჟამად სტაციონარული პაციენტების ანაზღაურების არსებული მექანიზმი - ერთიანი გადასახადი მომსახურებისთვის - მიიჩნევა ეფექტურად იმ სერვისების შემთხვევაში, რომელიც საჭიროებს მოთხოვნა-მიწოდების სტიმულაციას მათი საზოგადოებრივი ჯანდაცვის მნიშვნელობიდან გამომდინარე (მაგ: სკრინინგი ონკოლოგიური, გულსისხლძარღვთა დაავადებების, ბავშვებში მალნუტრიციის გამოსავლენად) და არა ჰოსპიტალური შემთხვევების ასანაზღაურებლად. შესაბამისად, ჰოსპიტალური სერვისები იკავებს საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის მთლიანი ხარჯის > 80%-ზე მეტ წილს და წარმოადგენს ზარალს პირველადი ჯანდაცვისთვის (დაახლოებით 12% 2014 წელს და დაახლოებით 8% 2015 წლის პირველ ნახევარში).

19. პირველადი ჯანდაცვის სახსრების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი „გაჟონვის“ წყარო გახლავთ ორმაგი და/ან პარალელურად სისტემები - კონკრეტული პირველადი ჯანდაცვის სერვისები ვერტიკალურ პროგრამებში, მ.შ. პრეპარატებით უზრუნველყოფა, სოფლის ექიმის პროგრამა - აქედან გამომდინარე ვერ ხერხდება რესურსების ეფექტურად და ეფექტიანად გამოყენება გაცხადებული ამოცანების მისაღწევად.
20. არ არსებობს „ოქროს სტანდარტი“ პირველადი ჯანდაცვის დაფინანსებისთვის. საერთაშორისო პრაქტიკის ანალიზი პირველადი ჯანდაცვის ხარჯებისთვის ასკვნის „მისაღებ“ 30%-იან დონეს. ეს განსაზღვრავს ჯანდაცვის სისტემის რესურსების გაძლიერებისა და კონცენტრირების საჭიროებას, ასევე პირველადი ჯანდაცვისთვის შესაძლებლობების განვითარებას.
21. გადახდის არსებული მექანიზმები არ არის სამართლიანი და მორგებული ჯანმრთელობის რისკებზე, ასაკობრივ ჯგუფზე, ოჯახის ექიმის დაფარვის ზონაზე (ურბანული, სასოფლო, გეოგრაფიულად მოშორებული/დარბი ტერიტორიები), ოჯახის ექიმთან დარეგისტრირებული ადამიანების რაოდენობაზე და სხვა სამედიცინო-სოციალურ კრიტერიუმებზე, რაც საჭიროებს გამოსწორებას პირველადი ჯანდაცვის ადექვატური ტიპით და მოცულობით მიწოდების წასახალისებლად. საყოველთაო ჯანდაცვისა და სოფლის ექიმის პროგრამების ფარგლებში არსებული გადახდის სხვადასხვა მეთოდები ზრდის არათანაბარ ფინანსურ დინებას პირველადი ჯანდაცვის სერვისებისთვის სასოფლო და ურბანულ ტერიტორიებზე. საერთაშორისო პრაქტიკა უკეთეს შედეგს აჩვენებს იმ სისტემების შემთხვევაში, რომელიც მორგებული კოეფიციენტების მიხედვით უზრუნველყოფს სერვისების მიწოდებას სასოფლო და დარბი ტერიტორიებზე იგივე გადახდა/ანაზღაურების სისტემით და არა პარალელური სისტემებით.
22. მთავარი შემსყიდველი ჯანდაცვის სისტემაში - სოციალური მომსახურების სააგენტო - ფუნქციონირებს, როგორც მოთხოვნის პასიური ადმინისტრატორი და არა, როგორც პირველადი ჯანდაცვის სერვისების აქტიური შემსყიდველი.

რეალურად არ არსებობს კონკურენტული გარემო ჯანმრთელობის ზონებზე/პაციენტთა სიებზე პირველადი ჯანდაცვის სერვისების პროვაიდერებს შორის.

23. ნორმების არ არსებობა გადანაწილებული რესურსების გამოყენებასთან დაკავშირებით, პირველადი ჯანდაცვის ხარჯების დაანგარიშების არასრულყოფილი მექანიზმი და ა.შ. ძირს უთხირს სერვისების მომწოდებელთა ფინანსურ უსაფრთხოებას და პირველადი ჯანდაცვის სფეროში მომუშავე კადრების მოტივაციას, მ.შ. კერძო სექტორშიც, იმ ქმედების განსახორციელებლად, რაც მთლიანად აგებული იქნება საჭირო სტანდარტებზე. არ დანერგილა რეალური ინსტრუმენტები ეფექტიანობის გასაუმჯობესებლად, პირველადი ჯანდაცვის სერვისების მიწოდების ხარისხის ასამაღლებლად და არც პირველადი ჯანდაცვის სფეროში მომუშავე კადრების მოტივირებისთვის, რაც გააუმჯობესებდა უსაფრთხოებასა და ანგარიშვალდებულებას.

### პირველადი ჯანდაცვის უზრუნველყოფა

24. პირველადი ჯანდაცვის როლი და ინსტიტუციონალური შესაძლებლობა მთელი მოსახლეობისთვის ხარისხიანი სერვისების მიწოდების კუთხით არის დაბალი. გასული ხუთი წლის მანძილზე პირველადი ჯანდაცვის ობიექტების რაოდენობა გაიზარდა, განსაკუთრებით სასოფლო ტერიტორიებზე, მაგრამ მთლიანი მოსახლეობის საჭიროებების დაკმაყოფილება ხარისხიანი მომსახურების მიწოდების კუთხით კვლავ შეზღუდულია. შედეგად მოსახლეობის ნაწილი, რომლებსაც შეუძლიათ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარება პირველადი ჯანდაცვის რგოლის დონეზე, იძლებულები ხდებიან მიმართონ უფრო ძვირადღირებულ ჰოსპიტალურ სერვისებს, რაც იწვევს ჯანდაცვისთვის გამოყოფილი რესურსის არარაციონალურ გამოყენებას.

25. პირველადი ჯანდაცვის როლი არაგადამდები დაავადებების (კარდიოლოგიური, ონკოლოგიური და ა.შ.) პრევენციასა და კონტროლში

მწირია, რაც ამჟამად სიკვდილიანობის მაღალი მაჩვენებლის წამყვან მიზეზს წარმოადგენს. ქსელი უნდა განვითარდეს მართვისა და ფინანსური მასშტაბების შემდგომი გაუმჯობესების გზით, რაც მოიცავს დემოგრაფიული, გეოგრაფიული და სამუშაო ეფექტურობაზე დაფუძნებულ გადახდის მექანიზმებს.

26. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (WHO) „ჯანმრთელობა ყველასთვის“ მონაცემთა ბაზის მიხედვით, ამბულატორიული ვიზიტები (მომართვიანობა) ერთ სულზე წელიწადში (2.1 – 2011, 2.3 – 2012 და 2.7 – 2013) WHO-ს ევროპის რეგიონისა (7.55 – 2013 წელს) და ევროკავშირის ქვეყნებთან შედარებით (6.92 – 2013 წელს) გაცილებით დაბალია დსთ-ს ქვეყნებში (8.89 - 2013 წელს). აქედან გამომდინარე, პირველად ჯანდაცვაში დარეგისტრირებული მომართვიანობა, როგორც ამბულატორიული ვიზიტების წილი, გვამლევს გამაფრთხილებელ ნიშნებს. ეს მონაცემები ცხადყოფს, რომ პირველად ჯანდაცვას აქვს პაციენტთა პატრონაჟის („gatekeeping“) ძალიან ლიმიტირებული შესაძლებლობა და არ წარმოადგენს პირველ პუნქტს ჯანდაცვის მომსახურების მიღებისთვის. საკონსულტაციო დავალების ფარგლებში გამოკითხულმა გადაწყვეტილების მიმღებმა მენეჯერებმა და ექიმებმა აღნიშნეს, რომ ძალიან ხშირ შემთხვევაში პირველად ამბულატორიულ კონსულტაციას და გადაუდებელ დახმარებას პაციენტები იღებენ საავადმყოფოში და არა ოჯახის ექიმთან.

27. სასოფლო ტერიტორიებზე პირველად ჯანდაცვაში მომართვიანობა არის კიდევ უფრო დაბალი. დაბალი მომართვიანობა დაკავშირებულია რამოდენიმე ფაქტორთან. მაგალითად, თვისობრივი შეფასება ცხადყოფს, რომ პრე-ჰოსპიტალური გადაუდებელი სამედიცინო დახმარება გამოიყენება უმნიშვნელო ჩივილების დროს და პირველადი ჯანდაცვის სერვისების ეფექტური გამოყენება მეორე პლანზეა გადაწული. სასოფლო ტერიტორიებზე ოჯახის ექიმთა უმრავლესობა დასაქმებულია გადაუდებელი სამედიცინო დახმარების დაწესებულებებში. სავარაუდოდ მთავარი მიზეზი არის ის, რომ

პირველადი ჯანდაცვის დონეზე წვდომა რიგით პრეპარატებზე, ანაზღაურებადი პროგრამის ფარგლებში (ერთი ქოლგის ქვეშ), მცირეა.

28. ამჟამად, პირველადი ჯანდაცვის მიწოდება ხდება ადმინისტრირების სხვადასხვა დონეზე (მაგ: პირველადი ჯანდაცვა თბილისის მუნიციპალიტეტში) და ჯანდაცვის განსხვავებული პროგრამებით (საყოველთაო ჯანდაცვა და სოფლის ექიმის პროგრამა); მსგავსი სისტემა ფინანსდება და იმართება სხვადასხვა მმართველი ერთეულების მიერ - ადგილობრივი ხელისუფლება, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა, ვერტიკალური პროგრამები და ა.შ. ჯანდაცვის პარალელური სისტემები იწვევს ძალიან მასშტაბურ გაორმაგებას ჯანდაცვის სექტორში.

29. გაორმაგება და პარალელური პირველადი ჯანდაცვა ქმნის მყარ ბარიერს პირველადი ჯანდაცვის სერვისების ადექვატური პაკეტების ჩამოსაყალიბებლად. ამ ასპექტს თან ერთვის პირველადი ჯანდაცვისა და სხვა სამედიცინო სერვისების გამიჯვნა, რაც შედეგად იწვევს სერიოზულ შეფერხებებს პაციენტების ჯანმრთელობის შეფასების მონიტორინგში.

30. ჯანმრთელობის ხელშეწყობის მხრივ ოჯახის ექიმის პრაქტიკაში შეინიშნება არასაკმარისი რესურსი მოსახლეობისთვის ინფორმაციისა და სამედიცინო ჩვენებით ჩარევის მიწოდების კუთხით, რაც აქცენტს გადაიტანდა პრევენციულ მომსახურებებზე და ასევე მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებაზე ჯანსაღი ცხოვრების წესის შესახებ. აღნიშნული გამოწვეულია, როგორც არასაკმარისი რესურსით, ასევე მოტივაციის ნაკლებობით, რასაც გადააქვს აქცენტი ამ სახის ჩარევებისგან. ამას გარდა, ამ სფეროში სამედიცინო განათლების არსებული სისტემა ცოდნასა და უნარებს იძლევა გაფანტულად, ამ დონეზე პირველადი ჯანდაცვის ფარგლებში დიაგნოსტიკა და მკურნალობა წინა პლანზეა წამოწეული და ძალიან მცირე ყურადღება ეთმობა პრევენციასა და რეაბილიტაციას.

31. ინტერდისციპლინური გუნდის მუშაობაზე დაფუძნებული მიდგომის არ არსებობა აფერხებს შესაძლებლობების განვითარებას პირველადი ჯანდაცვის ფარგლებში, თუნდაც ერთ მოცემულ თემში, ჯანდაცვის სერვისების უფრო

მეტი პაციენტისთვის მისაწოდებლად. ეს მოითხოვს პირველადი ჯანდაცვის რგოლისა და სპეციალიზებული სერვისების ვერტიკალურ ინტეგრაციას. ამ დანიშნულებით შესამუშავებელ რეგულაციებში შედის ადმინისტრაციული პროცედურები, კონკრეტული სერვისები, როგორცაა პირდაპირი წვდომა სადიაგნოსტიკო დაწესებულებებთან, გაწერისა და ინდივიდუალური დახმარების სქემები, ინტეგრირებული დახმარება და მკურნალობის ერთიანი პროტოკოლები, განსაკუთრებით ქრონიკული დაავადებებისთვის. ამ კუთხით, პირველადი ჯანდაცვის გუნდებს შეუძლიათ მეტი პასუხისმგებლობის აღება და უფრო ეფექტურად განხორციელება იმ ფუნქციებისა, რაც ამჟამად აქვთ სპეციალიზებულ სერვისებს, მ.შ. ჰოსპიტალური სერვისები.

32. რეგიონული განსხვავებები ეკონომიკური განვითარებისა და გარკვეული გეოგრაფიული გამოწვევების კუთხით, შედეგად იძლევა პირველადი ჯანდაცვის რგოლის არათანაბარ გადანაწილებას, მთავარი აქცენტით ურბანულ და უფრო განვითარებულ სასოფლო ტერიტორიებზე. გარკვეულ საკვანძო ტერიტორიებზე სამედიცინო პერსონალის შემცირებულ რაოდენობასა და არასაკმარის კვალიფიციურ კადრებს თან ერთვის „ტრადიცია“, რომლიც ხელს არ უწყობს და პირიქით აკნინებს მულტიდისციპლინური გუნდის მუშაობას და დაავადებათა ინტეგრირებულ მართვას პირველადი ჯანდაცვის დონეზე, რაც შეძლებდა სამედიცინო პერსონალის სამუშაო დატვირთვის შემცირებას.

33. კიდევ ერთი გასაუმჯობესებელი სფერო ეხება პირველად ჯანდაცვაში სერვისების ხარისხიანი მიწოდების უზრუნველყოფას. იმის მიუხედავად, რომ ექიმთა პროფესიული კავშირები ყველაზე აქტიური იყო კლინიკური სახელმძღვანელოების შემუშავების მიმართულებით, ამ სახელმძღვანელოების პრაქტიკაში დანერგვა უმეტეს შემთხვევაში არ მომხდარა და მთლიანობაში პირველადი ჯანდაცვის სისტემამ არ შექმნა საჭირო სტრუქტურა სპეციფიური ქმედებების განსახორციელებლად, რაც უზრუნველყოფდა ხარისხს. პირველადი ჯანდაცვის სერვისების დაბალი ხარისხი მეტწილად გამოწვეულია პროგრამების ნაკლებობით (რომელიც



მიმართავდა სერვისების მიწოდებლებს ბენეფიციართა საჭიროებების მაქსიმალური დაკმაყოფილებისკენ), ხარისხის მართვის წყვეტილი მიდგომით და არასათანადოდ განვითარებული მექანიზმებით. ეს პროგრამები უნდა ეფუძნებოდეს პროვაიდერების მოტივირებას სამუშაო ეფექტურობის მიხედვით.

34. აკრედიტაციის მოპოვების პროცესი მომსახურების მიწოდებაზე არ გამხდარა სავალდებულო. არ გამოყენებულა კონტრაქტების შესაძლებლობა, როგორც ინსტრუმენტი რესურსების უკეთ გადასანაწილებლად მოსახლეობის საჭიროებების მიხედვით და პროვაიდერების მოტივირებისთვის უკეთესი ხარისხისა და ეფექტურობის მისაღებად. ამას გარდა, არასაკმარისადაა განვითარებული სამუშაო ეფექტურობის ინდიკატორები პროვაიდერების ასანაზღაურებლად მიღწეულ შედეგებზე დაყრდნობით.

35.

პირველადი ჯანდაცვის ინფრასტრუქტურა არ შეესაბამება მაღალი ხარისხის მომსახურების მისაწოდებლად საჭირო სტანდარტებს და ცუდ მდგომარეობაშია, გარდა იმ ობიექტებისა, რომელიც განახლდა საერთაშორისო სააგენტოების ან კერძო სექტორის მიერ დაფინანსებული პროექტების ფარგლებში. სასოფლო ტერიტორიებზე არსებული პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებები მეტი ალბათობით იქნება ცუდ მდგომარეობაში, მაგრამ ადგილობრივი ხელისუფლების ჩართულობა ჯანდაცვის ინფრასტრუქტურის განვითარებაში კვლავ არასაკმარისია.

36. ზემოთ ხსენებული ვითარება მეტწილად გამოწვეულია მომსახურების საფასურში აღჭურვისა და ინფრასტრუქტურის განახლებისთვის აუცილებელი თანხის შესატანად საჭირო მექანიზმების არ არსებობით, რაც გრძელვადიან პერსპექტივაში აფერხებს ინსტიტუციონალურ განვითარებას და იწვევს დამოკიდებულებას სახელმწიფო დაფინანსების პროგრამებზე. სამედიცინო დაწესებულების აღჭურვა დაკავშირებულია არა მომსახურების მიწოდებაზე, არამედ - კონკრეტული დაფინანსების პროგრამებზე. სიტუაცია მსგავსია

პირველადი ჯანდაცვის მომსახურების კერძო მომწოდებლებისთვისაც, ვინაიდან პირველადი ჯანდაცვისთვის გამოყოფილი სახსრები არაა საკმარისი საკუთარი ინვესტირების განსახორციელებლად. ამას გარდა, დაფინანსების სახეები და გადახდის მექანიზმები არ იწვევს კერძო პროვაიდერების წახალისებას პირველადი ჯანდაცვის ინფრასტრუქტურაში ინვესტიციის განსახორციელებლად. ასევე, კერძო და საჯარო სექტორების თანამშრომლობის პროექტები, პირველადი ჯანდაცვის სფეროში, გამოყენებულია არასრული პოტენციალით.

### რესურსების მართვა

37. დისბალანსი ადამიანური რესურსების დაგეგმვაში, გადამზადებაში და მართვაში, შეზღუდული ფინანსური რესურსების ფონზე, იწვევს პირველადი ჯანდაცვის სფეროში მომუშავე ხარისხიანი, მცოდნე და თავიანთ სფეროში გამოცდილი კადრების ნაკლებობას. არსებული დაგეგმვის ელემენტები ეფუძნება ძირითადად საგანმანათლებლო დაწესებულებების შესაძლებლობებზე და ნაკლებად იმ ჯანმრთელობის საჭიროებებზე, რომელიც უშუალოდ დარგში მომუშავე პროფესიონალებს ესაჭიროებათ სამედიცინო მომსახურების მიწოდების პროცესში, გამოვლენილი გამოწვევების საპასუხოდ.

38. პირველადი ჯანდაცვის რგოლში მომუშავე ადამიანური რესურსის ანალიზი ცხადყოფს პრობლემათა 4 ფართე კატეგორიას, რომელიც უკავშირდება შემდეგს:

ა) პირველადი ჯანდაცვის რგოლში მომუშავე კადრების არათანაბარი რაოდენობრივი განაწილება, რაც იწვევს შეუსაბამობას საჭირო და არსებულ კადრებს შორის;

ბ) შესაძლებლობების არათანაბარი გადანაწილება, რაც გულისხმობს შეუსაბამობას პროფესიული გადამზადების დონესა და შესაძლებლობებში, პირველადი ჯანდაცვის სისტემისთვის საჭირო, როგორც რაოდენობრივი, ასევე თვისობრივი მახასიათებლების კუთხით;

გ) პირველადი ჯანდაცვის რგოლში მომუშავე კადრების არათანაბარი

გეოგრაფიული გადანაწილება, სასოფლო-ურბანული შეუსაბამობა და ოჯახის ექიმებისა და ექთნებს გადანაწილების მიუღებელი თანაფარდობა;

დ) ყველაზე კვალიფიციური და გადამზადებული სამედიცინო კადრების გადინება (მიგრაცია) ჯანდაცვის სისტემიდან;

ე) ინტერესის ნაკლებობა ოჯახის ექიმის სპეციალობაზე.

39. ექთნების რაოდენობა ერთ სულზე, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (WHO) „ჯანმრთელობა ყველასთვის“ მონაცემთა ბაზის მიხედვით, დსთ-ს ქვეყნებში ორჯერ დაბალია და WHO-ს ევროპის რეგიონისა და ევროკავშირის საშუალო მაჩვენებელზე დაახლოებით სამჯერ დაბალი.

40. კიდევ ერთი ფაქტორი, რომელიც ზეგავლენას ახდენს პირველადი ჯანდაცვის რგოლში მომუშავე პერსონალზე, გახლავთ წახალისების არასათანადო სისტემა. აღნიშნული მოიცავს, როგორც სამედიცინო პერსონალის მიერ გენერირებულ შემოსავლებს, ასევე არადაამაკმაყოფილებელ სამუშაო პირობებს და ობიექტურ კრიტერიუმებზე დაყრდნობით პროფესიული წინსვლისა და დაწინაურების მწირ შესაძლებლობას. პირველადი ჯანდაცვის რგოლში მომუშავე მენეჯერებისა და თანამშრომლების კრილში, სტანდარტული სამუშაო პროცედურების ნათელი განმარტების არ არსებობა, პირველადი ჯანდაცვის რგოლის არასათანადო მართვის მოდელი და დაბალი ჩართულობა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში წარმოადგენს სერიოზულ დაბრკოლებას პროფესიონალური და მენეჯერული ზრდისთვის.

## ზოგადი და კონკრეტული ამოცანები

41. პირველადი ჯანდაცვის სისტემის მიერ მოსახლეობის საჭიროებების აღქმა, რაც დამოკიდებულია მოქალაქეების ჩართულობაზე ჯანდაცვის პოლიტიკის შემუშავების პროცესში, კვლავ სერიოზულ პრობლემად რჩება. ბენეფიციარების ჩართულობა დაგეგმარებისა და პრიორიტეტების განსაზღვრის პროცესში გულისხმობს არა მხოლოდ აზრის გამოხატვის თავისუფლებას, არამედ მომსახურების მიწოდების პროცესის

გამჭვირვალობას, ვინაიდან მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ რეკომენდებული ახალი მოდელი მიმართულია პაციენტზე ორიენტირებულობისა და ბენეფიციართა და სერვისების პროვაიდერთა მაქსიმალური დაცულობის უზრუნველყოფისაკენ.

42. გასული ათი წლის მანძილზე საქართველოში აღინიშნა მნიშვნელოვანი პროგრესი პირველადი ჯანდაცვის სისტემის რეფორმირების კუთხით. რეფორმების პირველი ფაზა ორიენტირებული იყო ჯანდაცვის სისტემის, გასული საუკუნის ბოლო ათწლეულში არსებული ფინანსური კრიზისით გამოწვეული, გაუარესების შეჩერებაზე. მეორე ფაზა მეტწილად გამოირჩეოდა ჯანდაცვის დაფინანსებისა და უზრუნველყოფის, ბაზარზე ორიენტირებული, მექანიზმების შემოღებით. შემდგომი ფაზა უზრუნველყოფს რესურსების მობილიზაციას სტრუქტურული ცვლილებების განსახორციელებლად, რაც შედეგად მოგვცემს პირველადი ჯანდაცვის სისტემის გაუმჯობესებულ ეფექტიანობას და ხარისხს.

43. სტრატეგია, გამოვლენილი პრობლემების გადაჭრისა და გაცხადებული მიზნის მისაღწევად, საზღვრავს ქვემოთ მოცემულ ზოგად და კონკრეტულ ამოცანებს:

### **ზოგადი ამოცანა 1. მართვისა და ორგანიზაციული შესაძლებლობების გაუმჯობესება პირველად ჯანდაცვაში**

1.1 პირველადი ჯანდაცვის ჩარჩო პოლიტიკის შემუშავება სახელმწიფო მარეგულირებელი მექანიზმების სახით და ჯანდაცვის სექტორში გაცხადებულ პრიორიტეტებთან მორგება;

1.2 პირველადი ჯანდაცვის რგოლის მართვის გაუმჯობესება;

1.3 ინტეგრირებული „eHealth“ (ელექტრონული ჯანდაცვა) სისტემის დანერგვა პირველადი ჯანდაცვის დონეზე;

1.4 თანამშრომლობის მექანიზმების გაუმჯობესება სექტორთა შორის პარტნიორებთან მდგრადი პირველადი ჯანდაცვის სისტემის ჩამოყალიბებისთვის.

### **ზოგადი ამოცანა 2. ადექვატური ადამიანური რესურსის უზრუნველყოფა პირველადი ჯანდაცვის რგოლში**

2.1 პირველადი ჯანდაცვის რგოლში დასაქმებული კადრების ადექვატური გადამზადება, რაც დააბალანსებს საოჯახო მედიცინაში დასაქმებული კადრების გადინებასა და შემოდინებას;

2.2 ეფექტური მექანიზმის შემუშავება პირველადი ჯანდაცვის სფეროში მომუშავე კადრების მოტივირებისთვის;

2.3 პირველადი ჯანდაცვის რგოლის, უახლოეს და მოკლევადიან-პერსპექტივაში, საჭირო რაოდენობის კადრებით (ექიმებისა და ექთნების) დაკომპლექტება პერეკვალიფიკაციის პროგრამის მეშვეობით და კონკრეტული პირველადი ჯანდაცვის სასერთიფიკატო კურიკულუმზე დაყრდნობით.

### **ზოგადი ამოცანა 3. დაფინანსების, რესურსების გადანაწილებისა და პირველადი ჯანდაცვის პროვაიდერებისთვის გადახდის სისტემების გაუმჯობესება**

3.1 თანასწორობასა და სამართლიანობაზე ორიენტირებული დაფინანსების პოლიტიკის შემუშავება ჯანდაცვის სექტორში გაცხადებულ პრიორიტეტებთან შესაბამისობაში;

3.2 პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებებისთვის მდგრადი, ეფექტური და სამუშაო ეფექტურობის ხელშეწყობაზე ორიენტირებული გადახდის მეთოდის უზრუნველყოფა;

3.3 კონცეფციის ჩამოყალიბება პირველადი ჯანდაცვის მომსახურებების კონტრაქტირებისთვის მ.შ შესყიდვის სტრატეგიული კონცეფციის შექმნა.

3.4 პირველადი ჯანდაცვისთვის ფინანსური რესურსების გამოყოფისა და გამოყენების პროცესის გამჭვირვალობის გაზრდა.

### **ზოგადი ამოცანა 4. პირველადი ჯანდაცვის სერვისების ხარისხის გაუმჯობესება**

4.1 აუცილებელი მოდელის შექმნა აკრედიტაციაზე დაყრდნობით, რათა პირველადი ჯანდაცვის სერვისების პროვაიდერებმა რეგულარულად და გეგმაზომიერად შეაფასონ და გააუმჯობესონ მიმდინარე პროცესები და გარემო, პაციენტებთან მუშაობით მიღებულ გამოცდილებასა და ეროვნულ და საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებთან შესაბამისობაში;

4.2 პირველადი ჯანდაცვის რგოლში ხარისხიანი, მცოდნე და თავიანთ დარგში გამოცდილი კადრის უზრუნველყოფა.

4.3 ხარისხისა და უსაფრთხოების შეფასების მოდელის (ჩარჩოს) დადგენა

პირველადი ჯანდაცვის რგოლისთვის.

## ზოგადი ამოცანა 5. საოჯახო მედიცინაზე წვდომის გაუმჯობესება

5.1 დაავადებათა ინტეგრირებული მართვის უზრუნველყოფა პირველადი ჯანდაცვის დონეზე;

5.2 მოსახლეობის საჭიროებების დაკმაყოფილება პირველადი ჯანდაცვის ფარგლებში, ეფექტურობის, ოპორტუნისტული და უნივერსალური დაზღვევის პრინციპებზე დაყრდნობით;

5.3 ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდა წამლების ხარჯის ანაზღაურების სისტემის გაუმჯობესებით პირველად ჯანდაცვაში, მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის (WHO) რეკომენდაციებისა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად.

## ამოცანების მისაღწევად საჭირო ღონისძიებები და მოსალოდნელი შედეგები

44. პირველადი ჯანდაცვის ჩარჩო პოლიტიკის (კონცეფციის) შესამუშავებლად და მის მოსარგებად ჯანდაცვის სექტორისთვის გაცხადებულ პრიორიტეტებთან, დაგეგმილია შემდეგი ღონისძიებები:

ა) ნორმატიული აქტების შემუშავება პირველადი ჯანდაცვის განვითარებისთვის საჭირო სტრატეგიის დასაწერად, რაც ასევე მოიცავს არსებულ (და დაკავშირებულ) ნორმატიულ აქტებში ცვლილებებისა და დამატებების შეტანას;

ბ) ორგანიზაციის და პირველადი ჯანდაცვის მომსახურების მიწოდების შესახებ ნორმატიული ბაზის შემუშავება და დამტკიცება;

გ) პირველადი ჯანდაცვის სფეროს საქმიანობის კოორდინაცია მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციასთან, ორმხრივ საერთაშორისო ორგანიზაციებთან და პარტნიორებთან განვითარების დარგში.

დ) ორმხრივი შეთანხმებების/პროექტების განხორციელება პირველადი ჯანდაცვის სექტორში.

45. პირველადი ჯანდაცვის მართვის მოდელის გასაუმჯობესებლად განხორციელება შემდეგი ღონისძიებები:

ა) ნორმატიული ბაზის შემუშავება ჯანდაცვის სამინისტროს როლის

გასაზრდელად პირველადი ჯანდაცვის მართვაში ანგარიშვალდებულებაზე, წვდომაზე, ეფექტიანობასა და ხარისხზე ორიენტირებულობით;

ბ) სოციალური მომსახურების სააგენტოს პერსონალის გადამზადება პირველადი ჯანდაცვის ყველა მიმართულების მართვაში;

გ) პირველადი ჯანდაცვის მართვის მოდელის/ჩარჩოს ნორმატიული ბაზის შემუშავება და დამტკიცება ჯანდაცვის ინტეგრირებულ სისტემაზე დაყრდნობით;

დ) პირველადი ჯანდაცვის საკონსულტაციო საბჭოების როლის გაფართოება სტრატეგიის შეფასებისა და მონიტორინგის მიმართულებით, იმის დასადგენად თუ როგორ ფუნქციონირებს პირველადი ჯანდაცვის სისტემა დასახულ მიზნებთან და ამოცანებთან მიმართებით.

46. ინტეგრირებული „eHealth“ სისტემა პირველადი ჯანდაცვის დონეზე დაინერგება შემდეგნაირად:

ა) ნორმატიული ბაზის შემუშავება, რათა ინტეგრირებულ „eHealth“ სისტემაში გაერთიანდეს პირველადი ჯანდაცვის სერვისების მომწოდებელი ყველა სახის დაწესებულება;

ბ) პირველადი ჯანდაცვის მომსახურებაში ჩართული ყველა ტიპის დაწესებულების დაკავშირება ინტეგრირებულ „eHealth“ სისტემაში;

გ) პირველადი ჯანდაცვის მომსახურებაში ჩართული ორგანოების, ხელმძღვანელი პირებისა და კადრების გადამზადება ინტეგრირებული „eHealth“ სისტემის გამოყენებაში;

დ) კომუნიკაციისა და ცნობიერების ამაღლების კამპანიების განხორციელება პირველად ჯანდაცვაში პაციენტზე ორიენტირებული ინსტრუმენტებისა და „eServices“ (ელექტრონული სერვისების) შესახებ, რაც ინტეგრირებული „eHealth“ სისტემის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს.

47. სექტორთაშორისი პარტნიორობითან თანამშრომლობის მექანიზმების გაძლიერება მდგრადი პირველადი ჯანდაცვის სისტემის ჩამოსაყალიბებლად მიღწეული იქნება შემდეგი ქმედებების განხორციელებით:

ა) დარგთაშორისი საკომუნიკაციო გეგმის შემუშავება და დანერგვა პირველადი ჯანდაცვის რგოლის განვითარებისთვის;

ბ) ადგილობრივი ხელისუფლების მიერ პირველადი ჯანდაცვის ობიექტების

ჩამოყალიბება საოჯახო მედიცინის რეესტრის მიხედვით;

გ) ინსტიტუციონალური სტრუქტურის გაუმჯობესება თანამშრომლობისთვის და პირველადი ჯანდაცვის საკითხებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მონაწილეობისთვის პროფესიულ ასოციაციებთან, პირველადი ჯანდაცვის მომსახურების პროვაიდერებთან, ადგილობრივ ხელისუფლებასთან და ა.შ. ერთად;

დ) შეთანხმება ადგილობრივ ორგანოებთან პირველადი ჯანდაცვის ძირითადი ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით;

ე) ნორმატიული და ინსტიტუციონალური ბაზის შემუშავება და დამტკიცება მდგრადი დარგთაშორისი „ერთიანი მომსახურების“ უზრუნველსაყოფად პირველადი ჯანდაცვის რგოლის დონეზე (მართვა სამედიცინო-სოციალური თანამშრომლობით და ა.შ.).

48. პირველადი ჯანდაცვის რგოლის კადრების სათანადო გადამზადებისთვის, რაც უზრუნველყოფს საოჯახო მედიცინის პროფესიონალების შემოდინებისა და გადინების სწორ ბალანსს, განხორციელდება შემდეგი ქმედებები:

ა) ადამიანური რესურსების მომზადება და მათი გამოყენება პირველადი ჯანდაცვის დაგეგმარების მეთოდოლოგიის შესამუშავებლად ავადობაზე, მომსახურების მოთხოვნაზე და ჯანდაცვის სისტემის განვითარების პერსპექტივებზე დაყრდნობით;

ბ) საშუალო და გრძელვადიანი სახელმწიფო გეგმების შემუშავება ადამიანური რესურსების მართვასთან დაკავშირებით პირველადი ჯანდაცვის რგოლში მომუშავე კადრებისთვის;

გ) საოჯახო მედიცინის კურიკულუმის გადახედვა საერთაშორისი სტანდარტების მიხედვით და ჯანდაცვის სისტემაში დიპლომამდელ, დიპლომისშემდგომ და უწყვეტი სამედიცინო განათლების დონეზე საშუალო და მაღალი პოზიციებისთვის საჭირო თანამშრომლების რაოდენობიდან გამომდინარე;

დ) პოლიტიკური ნება საოჯახო მედიცინის სარეზიდენტო სისტემის შექმნასთან დაკავშირებით, რაც დააკმაყოფილებს მოთხოვნას სოფლებში და/ან სხვა რეგიონებში არათანაბრად გადანაწილებულ სამედიცინო პერსონალზე;

ე) სამედიცინო საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და კლინიკური გადამზადების ცენტრებს შორის თანამშრომლობის მექანიზმების გაუმჯობესება



პირველად ჯანდაცვაში დასაქმებული კადრების უფრო ეფექტური პრაქტიკული გადამზადებისთვის;

ვ) სწავლის ელექტრონული („eLearning“) ინსტრუმენტების ინსტიტუციონალიზაცია პირველადი ჯანდაცვის რგოლში დასაქმებული კადრების უწყვეტ სამედიცინო განათლებაში.

49. წახალისების ეფექტური მოდელი პირველადი ჯანდაცვის პერსონალისთვის შემუშავდება შემდეგნაერად:

ა) საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში არსებული პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებებში დასაქმებული პერსონალის (თანამშრომლების) სამუშაო ანაზღაურების ხარჯის მაქსიმალური ოდენობით დადგენის მეთოდოლოგიის შემუშავება და დამტკიცება;

ბ) სოფლებსა და ღარიბ რეგიონებში, პირველადი ჯანდაცვის რგოლში მომუშავე, კადრების მოტივირების მეთოდოლოგიის შემუშავება სამუშაო ანაზღაურების განუყოფელი ნაწილის სახით.

50. პირველადი ჯანდაცვის რგოლისთვის უახლოეს და მოკლევადიან პერსპექტივაში საჭირო თანამშრომლების (როგორც ექიმების, ასევე ექთნების) უზრუნველსაყოფად, პირველადი ჯანდაცვის სასერთიფიკატო კურსკულუმზე დაფუძნებული პერეკვალიფიკაციის პროგრამის მეშვეობით, განხორციელდება შემდეგი ქმედებები:

ა) უახლოეს მომავალში პირველადი ჯანდაცვის რგოლისთვის პერსონალის საჭირო რაოდენობის დადგენა საოჯახო მედიცინის ცენტრების მიხედვით;

ბ) საოჯახო მედიცინაში ექიმებისა და ექთნების გადამზადების კურიკულუმის გადახედვა და ადაპტირება პირველადი ჯანდაცვის სფეროსთან დაკავშირებული უახლესი რეკომენდაციების გათვალისწინებით;

გ) ექიმებისა და ექთნების გადამზადება და სერთიფიცირება, საოჯახო მედიცინაში პერეკვალიფიკაციის კურიკულუმის/პროგრამის მიხედვით;

დ) გადამზადებული ოჯახის ექიმებისა და ექთნების გადანაწილება საოჯახო მედიცინის ცენტრებში.

51. მომსახურებაზე თანაბარი წვდომისკენ მიმართული დაფინანსების პოლიტიკის შესამუშავებლად, ჯანდაცვის სექტორისთვის გაცხადებულ

პრიორიტეტებთან შესაბამისობაში, დაგეგმილია შემდეგი ღონისძიებების გატარება:

ა) ნორმატიული ბაზის გაუმჯობესება და ადაპტირება პირველადი ჯანდაცვის ადექვატური დაფინანსებისთვის, რაც მოიცავს დანახარჯების სამიზნე მაჩვენებლების დადგენას პირველადი ჯანდაცვის რგოლისთვის (საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ბიუჯეტის სულ მცირე 30%) და დანახარჯების დაბალი განაკვეთების მიღებას სტაციონარული პაციენტებისთვის.

ბ) რესურსების თავმოყრა საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში არსებული ყველა პირველადი ჯანდაცვის მომსახურებისთვის და ვერტიკალური პროგრამებისთვის.

52. მდგრადი, ეფექტური და სამუშაო ეფექტურობის წამახალისებელი გადახდის მეთოდი პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებებისთვის უზრუნველყოფილი იქნება შემდეგი ღონისძიებების გატარებით:

ა) მეთოდოლოგიის შემუშავება პირველადი ჯანდაცვის სერვისების ანაზღაურების მექანიზმების დასაანერგად - ერთ სულზე, გამოხატული ქულებში, ექიმის პაციენტთა რეესტრის მიხედვით; გაწეული მომსახურების საფასური, გამოხატული ქულებში, გადახდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან და ანაზღაურება სამუშაო ეფექტურობისთვის;

ბ) *სულადობრივი* გადახდის მორგება ჯანმრთელობის რისკებთან, ასაკობრივ ჯგუფთან, ოჯახის ექიმის დაფარვის ზონასთან (ურბანული, სასოფლო, გეოგრაფიულად მოშორებული/ღარიბი ტერიტორიები), ოჯახის ექიმთან დარეგისტრირებული პაციენტების რაოდენობასთან და სხვა სამედიცინო-სოციალურ კრიტერიუმებთან;

გ) პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებებისთვის გამოყოფილი რესურსების დაგეგმვის მეთოდოლოგიის შემუშავება, როგორც ჯამი თანხისა, რაც გამოყოფილია ერთ სულზე (ასაკობრივი ჯგუფისა და ურბანული/სასოფლო ტერიტორიის მიხედვით), სამედიცინო მომსახურებაზე (რომლის ანაზღაურებაც ხდება გაწეული მომსახურების საფასურის მიხედვით), სამუშაო ეფექტურობის ინდიკატორების მიღწევაზე (რაც გამოყოფილია სახელმწიფო ბიუჯეტიდან) და გამოწერილი მედიკამენტების ანაზღაურებაზე;

დ) მეთოდოლოგიის შემუშავება, ქულის დასაანგარიშებლად, რომელიც მიენიჭება

ერთ სულზე, მომსახურების საფასურზე, სამუშაო ეფექტურობაზე და ანაზღაურებად გამოწერილ პრეპარატებზე.

53. ხელშეკრულებების გასაფორმებლად პირველადი ჯანდაცვის სერვისების მოწოდებაზე, მ.შ. შესყიდვის სტრატეგიული ჩარჩოს დასადგენად, განხორციელდება შემდეგი ქმედებები:

ა) ნორმატიული ბაზის შემუშავება და შემოღება სახელშეკრულებო ურთიერთობების დასამყარებლად პირველადი ჯანდაცვის სერვისების შესყიდვისთვის;

ბ) მეთოდოლოგიისა და პროცედურების შემუშავება სამედიცინო დაწესებულებებთან ხელშეკრულებების გასაფორმებლად პირველადი ჯანდაცვის სერვისების მოწოდებისთვის;

გ) ნორმატიული ბაზის შემუშავება და შემოღება პირველად ჯანდაცვაში სტრატეგიული შესყიდვების დაფუძნებისთვის;

დ) პირველად ჯანდაცვაში სტრატეგიული შესყიდვების მეთოდოლოგიის შემუშავება;

ე) სახელშეკრულებო ჩარჩოს შემუშავება სოციალური მომსახურების სააგენტოსა და პირველადი ჯანდაცვის სერვისების პროვაიდერებს შორის;

ვ) სოციალური მომსახურების სააგენტოს საჭიროებების (ადამიანური რესურსის და ა.შ.) შეფასება სახელშეკრულებო სისტემის დასანერგად პირველადი ჯანდაცვის სერვისების მოწოდებისთვის;

ზ) შესაძლებლობების განვითარებისკენ მიმართული აქტივობების ორგანიზება სოციალური მომსახურების სააგენტოს პერსონალისთვის სახელშეკრულებო სისტემის დასანერგად, რაც ასევე მოიცავს პირველადი ჯანდაცვის მომსახურების სტრატეგიულ შესყიდვებს;

თ) შესაძლებლობების განვითარებისკენ მიმართული აქტივობების ორგანიზება სერვისის პროვაიდერებისთვის სახელშეკრულებო/სტრატეგიული შესყიდვის ფარგლებში არსებული სერვისების რაოდენობის შესაფასებლად;

ი) პირველადი ჯანდაცვის სისტემის ფარგლებში გაწეული სერვისების სატარიფო სისტემის შემუშავება და დამტკიცება;

კ) პირველადი ჯანდაცვის სერვისების კოდირების სისტემის მიმოხილვა, შემუშავება

და დანერგვა.

54. პირველად ჯანდაცვაში რესურსების გამოყოფისა და გამოყენების გამჭვირვალობა გაიზრდება შემდეგი ღონისძიებების გატარებით:

ა) საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამიდან პირველადი ჯანდაცვისთვის გამოყოფილი ფინანსური რესურსების მართვის მეთოდოლოგიური ნორმების შემუშავება და დამტკიცება კონტრაქტირების ინსტიტუტების მიერ;

ბ) სციალური მომსახურების სააგენტოს მიერ საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში გარე კონტრაქტზე გატანილი პირველადი ჯანდაცვის სერვისების მონიტორინგისა და ანგარიშგების პროცედურებისა და ინსტრუმენტების შემუშავება და დანერგვა, რაც ასევე მოიცავს ინტეგრირებულ „eHealth“ სისტემას;

გ) პირველად ჯანდაცვაში ფინანსური რესურსების გამოყოფასთან და გამოყენებასთან დაკავშირებული ყოველ წლიური ანგარიშების მომზადება და დაგზავნა;

55. აკრედიტაციაზე დაყრდნობით პირველადი ჯანდაცვის სერვისების პროვაიდერებისთვის აუცილებელი ბაზის შესაქმნელად, რათა პაციენტის გამოცდილებისა და ეროვნული თუ საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტების მიხედვით, რეგულარულად და გეგმაზომიერად შეაფასონ და გააუმჯობესონ მიმდინარე პროცესები და გარემო, განხორციელდება შემდეგი ქმედებები:

ა) პირველადი ჯანდაცვის თითოეული კომპონენტის სტანდარტების მიმოხილვა და შესრულება საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით;

ბ) შესწორებების შეტანა ნორმატიულ ბაზაში პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებების აკრედიტაციისთვის;

გ) პროცედურებისა და ინსტრუმენტების მიმოხილვა პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებების აკრედიტაციისთვის;

დ) ინსტიტუციონალური შესაძლებლობების განვითარებისკენ მიმართული ღონისძიებების ორგანიზება პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებების აკრედიტაციის მიმართულებით;

ე) ხელშემწყობი ღონისძიებების ორგანიზება და პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებების მომზადება აკრედიტაციის მოსაპოვებლად;

ვ) საჭიროებების (ადამიანური რესურსის და ა.შ.) შეფასება პირველადი ჯანდაცვის

დაწესებულებათა მიერ აკრედიტაციის მოსაპოვებლად;

ზ) პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებათა აკრედიტაციის გეგმის შემუშავება და დანერგვა;

თ) ელექტრონული სერვისების დანერგვა ინტეგრირებული „eHealth“ სისტემის სახით, პირველადი ჯანდაცვის პროვაიდერთა აკრედიტაციისთვის - „eAccreditation“ (ელექტრონული აკრედიტაცია).

56. მაღალი ხარისხის პირველადი ჯანდაცვის, მცოდნე და გამოცდილი კადრების უზრუნველსაყოფად განხორციელდება შემდეგი ქმედებები:

ა) პირველადი ჯანდაცვის რგოლში მომუშავე პერსონალის ლიცენზირების სტანდარტების დადგენა საერთაშორისო სტანდარტებზე დაყრდნობით;

ბ) პირველადი ჯანდაცვის რგოლში მომუშავე კადრების, 5 წლიან ციკლზე დაფუძნებული, ლიცენზირების ნორმატიული ბაზის შემუშავება და დამტკიცება;

გ) პირველადი ჯანდაცვის რგოლში მომუშავე კადრების ლიცენზირების პროცედურებისა და ინსტრუმენტების შემუშავება;

დ) ინსტიტუციონალური შესაძლებლობების განვითარებისკენ მიმართული ღონისძიებების ორგანიზება პირველადი ჯანდაცვის რგოლში მომუშავე კადრების ლიცენზირების კუთხით;

ე) საჭიროებების (ადამიანური რესურსის და ა.შ.) შეფასება პირველადი ჯანდაცვის რგოლში მომუშავე კადრების ლიცენზირებისთვის;

ვ) შესაძლებლობების განვითარებისკენ მიმართული ღონისძიებების ორგანიზება სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოსთვის პირველადი ჯანდაცვის რგოლში მომუშავე კადრების ლიცენზირებასთან დაკავშირებით;

ზ) პირველადი ჯანდაცვის რგოლში მომუშავე კადრების ლიცენზირების გეგმის შემუშავება და დანერგვა;

თ) ელექტრონული სერვისების დანერგვა, ინტეგრირებული „eHealth“ სისტემის ნაწილის სახით, პირველადი ჯანდაცვის რგოლში მომუშავე კადრების ლიცენზირებისთვის - - „eLicensing“;

ი) საოჯახო მედიცინის კლინიკური სახელმძღვანელოების გადახედვა და შეთანხმება;

კ) ოჯახის ექიმებისთვის სტანდარტიზებული კლინიკური პროტოკოლების შემუშავება და დანერგვა;

ლ) პირველადი ჯანდაცვის რგოლში მომუშავე სამედიცინო პერსონალისთვის სტანდარტული სამუშაო პროცედურების (SOPs) (კომპეტენციათა ნაკრების)

შემუშავება, დამტკიცება და პრაქტიკაში დანერგვა.

57. პირველადი ჯანდაცვის მომსახურების ხარისხისა და უსაფრთხოების შეფასების მეთოდის დასადგენად, განხორციელდება შემდეგი ქმედებები:

ა) ჯანდაცვის ხარისხის ეროვნული სტრატეგიის ფარგლებში პირველადი ჯანდაცვის სერვისების მიწოდების ხარისხისა და უსაფრთხოების ინდიკატორების შემოღება და ინტეგრირება ეროვნულ „eHealth“ სისტემაში;

ბ) პირველადი ჯანდაცვის კლინიკური და ფინანსური ანგარიშვალდებულებების დასაკავშირებლად ხარისხისა და უსაფრთხოების ინდიკატორების რეგულარული ადაპტირება და დამატება სახელშეკრულებო პირობებში და ანაზღაურება სამუშაო ეფექტურობის მიხედვით;

გ) იმ პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებათა უსაფრთხოებისა და ხარისხის მაჩვენებლების შეფასება, რომლებიც იყენებენ ხარისხის შეფასების ბარათს (სააპრობაციო ბარათს/შეფასების შკალას).

58. პირველადი ჯანდაცვის დონეზე დაავადებათა ინტეგრირებული მართვის უზრუნველსაყოფად განხორციელდება შემდეგი ქმედებები:

ა) კლინიკური მდგომარეობების და/ან პოპულაციის ჯგუფების დადგენა დაავადებათა ინტეგრირებული მართვისთვის (IDM) პირველადი ჯანდაცვის დონეზე (მაგ: ბავშვთა დაავადებების ინტეგრირებული მართვა და ა.შ.);

ბ) რეგულაციების შემუშავება დაავადებათა ინტეგრირებული მართვისთვის პირველადი ჯანდაცვის დონეზე;

გ) დაავადებათა ინტეგრირებული მართვის გაიდლაინებისა და ტრენინგის კურიკულუმის შემუშავება;

დ) დაავადებათა ინტეგრირებული მართვის შესახებ საერთაშორისო ელექტრონული კომუნიკაციების? IEC და საკონსულტაციო მასალების შემუშავება და დაგზავნა;

ე) მონიტორინგისა და შეფასების პროცედურების შემუშავება დაავადებათა ინტეგრირებული მართვისთვის;

